# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 223

201 9 წ. "03" 12

## ქ.თბილისი

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^2$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 03 დეკემბრის №63 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამაში აისახოს ევრო-დირექტივა 2005-36-ის მოთხოვნები და რეკომენდაციები;

ბ) პროგრამის მიზნებში ცხადად ჩანდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;

გ) პროგრამა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა;

ე) შემოქმედებითი ტურის თითოეული კომპონენტის შეფასების ადეკვატურობის გამყარების მიზნით, ყოველი კრიტერიუმისთვის თვალსაჩინოდ გაიწეროს შეფასების ქულათა დიაპაზონი;

ვ) უფრო ლოგიკურად იქნეს გაანაწილებული და ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები, კერძოდ:

ზ. ა) „აზომვითი პრაქტიკის" სასწავლო კურსი, ასევე ამ კურსის სილაბუსში ზუსტად გაიწეროს პრაქტიკის გავლის ვადები;

თავმჯდომარე

მდივანი